

1916



# თეატრი და ცხოვრება

სათავეთ სალიტერატურო ჟურნალი

კვირა, 5 თიბათში № 23 — 1916

ფასი 10 კ.

წელიწადი გამოსვლისა მთლიანად

მიიღება ხელის მოწერა 1916 წ. შუა.  
 № VI „თეატრი და ცხოვრება“ № IV  
 ყოველკვირეული ჟურნალი

წლიურად 5 მ., ნახევარ წლით 3 მ. ცალკე ნომერი 10 კ. ხელის მოწერა მიიღება „სორაპანი“-ს სტამბაში ყოველ ჟამს. ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. — ხელთნაწერები საჭიროებისამებრ შესწორდება. — რედაქტორთან პირისპირ მოლაპარაკება შეიძლება „სორაპანი“-ს სტამბის კანტორაში — დილით 9—2 ს., საღამოთი 5—7 ს., ტელეფონი № 15-41. მისამართი: Тифлисъ, Ред. „Театри да Цховреба“  
 Ioc. Имедашвили

38  
 1916/4  
 5 თიბათში

სანთლები სანამ გვყავს — არ ვაფასებთ, ქრებიან! დავკარგავთ — თავში ვიცემთ: ვგლოვობთ და ვმწუხარებთ!

ჩვენს სამშობლო სცენასა თუ მწერლობას ჩვენი საერთო დაუდევრობით ბევრი ნიქიერი ახალგაზდა დაეკარგა.

ეს სავალალო მდგომარეობა დღესაც გრძელდება.

ერთი მხრივ თუ ვერ იქმნა და დღემდე ვერ შეიქმნა ისეთი თანხა, რომ ქართული სცენის ქურუმი — ჩვენი სამშობლოს მომავლის ეს დიდი მოამაგე, მაგრამ დღეს არარად მიჩნეული, — ნივთიერად უზრუნველყოს, მეორე მხრით ჩვენი სათეატრო საქმის „კული-სებში“ თითქო ჯაღოა ჩაფლული, რაღაც მაგნე, რომ ცოტად თუ ბევრად ცხოველსული, ახალი ძალა სამშობლო სცენას ვერ ეთვისება: ახალი ძველს, ძველი ახალს ვერ შეჭვუებია, მესამე მხრით კი თვითი-



ჭოლა ლომთათიძე გარდას. მეგობ. შორის 1. კოლა, 2, გელა, 3, შ. აბ-ლი, 4, კ. ჭ-ძე 5. კ. ჯ-ძე.



ზღა მსახიობნი თითქო მხოლოდ სეკონები არიან: საქმის სხვათა შორისი მოსამსახურენი, საქმის არა გატაცებით მოყვარულნი...

„მიზეზთა და მიზეზთა“ გამო ან ხელად სტოვებენ სცენას ანუ აბუჩად ებყრობიან...

ნუცა ჩხეიძე სცენაზე ოცი წლის სამსახურის შემდეგ ოციანის შემყურე მეუღლეს გაჰყვა პროფინციაში: ოჯახს კვება უნდა, შვილს—სწავლაო.

შალვა დადიანი მხოლოდ აქა-იქ მოგზაურობას გადაჰყვა და შემთხვევით წარმოდგენებზე დახურდავდა...

ვლ. ალ — მესხიშვილი სტუმარილაა და მისი ასულნი ხომ სამუდამოდ გაუფრინდენ ჩვენს თეატრს.

გ. იშხნელმა, ალბად, „პომეშიკობაში“ უფრო ჰნახა გეშო.

დ. მგალობლიშვილი რუსულ ოპერეტას მიეკედლა და ...გგონებ, სამუდამოდაც...

რომელი ერთი ჩამოვთვალო?

დიად, ასე მიდიან... მიდიან და...

სანთლები ქრებიან, სამშობლო ხელოვნების სანთლები!..

და რავდენია ისეთი, რომ ჯერ არც კი გამოჩენილა, მაგრამ ჩვენი სცენის უნუგეშო მდგომარეობით გულ-გატეხილი სამუდამოდ ჩაქრა...

რას შვრებით თქვენ, ისტორიამა და საზოგადოებრივმა აზრმა ანუ შემთხვევამ სამშობლო ხელოვნების მესვეურობა რომ მოგინდოთ?

ნუ თუ მარტო იმას, რომ... საზოგადო მოღვაწის სახელს უქმად ატარებთ?!

# უბრალო საუბარი უბრალო მკითხველთან

## VIII

ნათქვამია, სხვის იმედით ფართე ლოგინს ნუ გაიშლიო.

რანაირი მოკავშირეებიც უნდა გაუჩნდეს ქართველ ერს, სხვა მას ვერ შეჰმატებს იმდენს ძალას, რამდენსაც თვითონ შემატებს თავის თავს.

ჩვენ გვინდა კავკასიის ერებთან კავშირი

იმისთვის, რომ ჩვენ მოვლონიერდეთ სიის ერებსაც ამიტომ უნდათ ჩვენთან კავშირი, რომ ჩვენის დახმარებით მათ ძალა შეიმატონ. ამისათვის-კი საჭიროა, რომ ჩვენ თვინთონ წარმოვადგენდეთ საკმაო ძალას.

ძალა არის შრომის ნაყოფი, შრომის შვილი. ძველებური დაუდევრობა, სიზარმაცე უნდა გავდევნოთ ჩვენი არსებიდან და ჩვენი ცხოვრებიდან.

ამბობენ ღღევანდელი დრო ფულის დრო არისო.

ტყუილია!

ახლანდელი დრო შრომის, გარჯის დროა: ვინც შრომობს, ვინც მუშაობს, ის მძლავრდება და ის იმარჯვებს.

ჩვენი არსებობის ერთ მთავარ საფუძველს და ეკონომიური ცხოვრების ერთ მთავარ საძირკველს ჩვენი მიწა-წყალი, ჩვენი ტერიტორია შეადგენს.

მაშასადამე ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ, რომ ეს მიწა-წყალი შევინმ შეუნოთ.

თავად-აზნაურობა ღარიბდება, მიწა მას ხელოდან ეცლება და გადადის სხვის ხელში.

ჩვენს საზოგადოებას არაფერი არ გაუკეთებია, რომ თავადების მიწა-წყალი ჩვენ მშრომელ ხალხს არ ეკარგებოდეს.

ეს დიდი, ძალიან დიდი დანაშაულია.

ჩვენ თავად-აზნაურობის ნამუსსა და სინილისზე მივაგდეთ ეს მეტათ დიდ მნიშვნელოვანი საქმე.

ნამუსი და სინილისი გლახა თავდებია იქ სადაც თვით ცხოვრება აიძულებს წარჩინებულ წოდებას, მიწა-წყალს შეეღიოს. თუ რამე გაკეთებულა ამ მხრივ, ისევ ჩვენს ხალხს გაუკეთებია; ჩვენ-კი არავითარი დახმარება არ აღმოგვიჩენია.

კახეთში იმერლებმა, ოსებმა, რაჭველებმა მთელი სოფლები გააშენეს. ვინ იყო მათი ხელმძღვანელი?

დღესაც ბევრია კახეთში მიწა გასაყიდელი, ქართლშიაც. ვინა ცდილობს, რომ ეს მიწები ჩვენს ხალხს დარჩეს?

ჩვენ ერთმანეთს ვეკამათებით, სტატიებს ვსწერთ, გაზეთებს ვაჭრებოთ და, თუ რამე კეთდება ამ გზით, ისევ ჩვენი ხალხი აკეთებს.





ჩვენ ღღემდის უნდა შეგვექმნა ისეთი დაწესებულება, სადაც ყოველგვარი ცნობები უნდა ყოფილიყო იმის შესახებ, თუ სად ვისი რამდენი ადგილი იყიდება და რა ფასებში.

ამ დაწესებულებას უნდა აღმოეჩინა ყოველგვარი დახმარება რჩევით, საქმით, გზის ჩვენებით, შუამავლობით, ფულით და სხვ. ყველა იმათთვის ვინც-კი გადმოსახლებას და ადგილების შეძენას მოისურვებდა.

სხვა რომ არა იყოს-რა, მაშინ აღარ განმეორდებოდა ისეთი შეცდომა, რომელმაც დღეს ძალიან ბევრი ხალხი იმსხვერპლა:

ოსებმა შეძინეს კახეთში ადგილები; მთის ხალხმა იქაური ჰავა ვერ აიტანა და ნახევარი გაწყდა ციებ-ცხელებით.

ჩვენი ქვეყანა მეურნეობის ქვეყანაა, ჩვენში კი არც მეურნეობაა, არც სამეურნეო ცოდნა. ჩვენი სოფლები მოფენილი უნდა იყოს სამეურნეო და სატექნიკო სასწავლებლებით.

რომ სურვილი გვექონდეს და ამგვარი საქმის ნამდვილი შეგნება და სიყვარული, ჩვენს სოფელს ამ მხრივ საკმაო ნაბიჯი ექნება გადადგმული.

ჩვენში არსებობს სხვადასხვა სტიპენდიები უმაღლეს სასწავლებლებში.

ეს სტიპენდიები გვაძლეს ექიმებს, ვექილებს და სხვ. ერთიცა და მეორეც თავ-თავის დროს საჭირონი არიან, მაგრამ ჩვენს ქვეყანას ვერც ექიმები იხსნიან, ვერც ვექილები, ვერც მთავრობის მოხელენი, რომლებსაც ჩვენი სტიპენდიები ზრდის.

ჩვენს ქვეყანას იხსნის მშრომელი ხალხი. მთელი ჩვენი ყურადღება უნდა იყოს მიქცეული მშრომელი ხალხის მოლონიერებისაკენ.

ყველა ეს სტიპენდიები უნდა გაუქმდეს და მოხმარდეს მხოლოდ სოფლებში სამეურნეო და სატექნიკო ცოდნის გავრცელებას.

ჩვენ რომ იმდენი შეძლება გვექონდეს, რომ ვექილები და ექიმებიც ვზარდოთ და სოფელსაც დავეხმაროთ კაი დავგმართოთ, მაგრამ ამდენი შეძლება არა გვაქვს, ჯერ ღარიბები ვართ და ამიტომ, რაცა გვაქვს, ისე უნდა დავხარჯოთ, რომ მთელ ერს რაც შეიძლება მეტი სარგებლობა მოვუტანოთ.

ყველა სასტიპენდიო თანხა უნდა მოხმარდეს სოფლებში სამეურნეო და სატექნიკო სასწავლებლების გახსნას. მარტო სტიპენდიები რას გააწყობს? ამ საქმისათვის უნდა იზრუნონ წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ, სამეურნეო საზოგადოებამ, საქველმოქმედო საზოგადოებამ, სამეურნეო ბანკმა, საადგილ-მამულო ბანკმა.

საიქიოსკენ და ციმბირისაკენ გამგზავრება უეჭიმოთ და უვექილოთაც მოხერხდება, ჩვენი ხალხის წარმატება კი შეუძლებელია, თუ ჩვენი სოფელი იმგვარსავე პირობებში დარჩა, როგორშიაც დღეს იმყოფება.

ილ. ჭავჭავაძის შეცდომა ის კი არ იყო, რომ სოფელს აქცევდა დიდ ყურადღებას, არამედ ის რომ ქალაქს არ აქცევდა იმდენსავე ყურადღებას.

ნათქვამია, რა სოფელშიაც შეხვიდე, იმ სოფლის ქუდი დაიხურეთ.

დღეს ქალაქია ბატონი და არა სოფელი, დღეს ქალაქი უბრძანებს სოფელს და არა სოფელი ქალაქს. ამიტომ ჩვენი წინმსვლელობისათვის აუცილებლათ საჭიროა, რომ ჩვენმა ხალხმა ქალაქის ქუდი დაიხუროს.

სოფელში უნდა გავმაგრდეთ და გავძლიერდეთ,—ეს საჭიროა, აუცილებელი. მაგრამ ეს არა კმარა: უმთავრესი, თავი და ბოლო ქალაქია. თუ ქალაქშიაც არ გავმაგრდით, მარტო სოფელი ვერ გვიხსნის.

ჩვენ თუ სოფელში გავძლიერდით, ქალაქი კი სხვამ წაიღო, მაინც სუსტი ვიქნებით და მეტოქეობას ველარავის გავუწევთ, ნელა ნელა წავილეკებით, დავმარცხდებით და მოვისპობით.

სოფელში გამაგრება და ქალაქის დაპყრობა,—აი რა უნდა იყოს ჩვენი მიზანი.

რამდენიც უნდა ვიყვიროთ, ქალაქი ისტორიულის საბუთებით ჩვენიაო, მაინც ნოტარიუსის საბუთებს მოგვთხოვენ.

ისტორიულის საბუთებით თბილისი ქართველების არის, ნოტარიუსის საბუთებით კი სომხების.

მაშ ვის ეკუთვნის თბილისი?

რასაკვირველია, სომხის მსხვილ ბურჟუაზიას და ისე მტკიცეთ ეკუთვნის, რომ თბი-

3002



ლისს საქართველოს დედა ქალქსაც აღარ  
ეძახის, არამედ ძველ ქალაქს.

რას იზამთ: ასეთია დღევანდელი დრო,  
—ის ნოტარიუსის ს.ბუთებს ისტორიულზე  
მალლა აყენებს.

ყოველი ქართველისათვის თბილისი უნ-  
და იყოს ალთქმის ქვიყანა; ქარუველობამ  
ფეხი უნდა მოიმაგროს თბილისში და ჩვენი  
დაწესებულებანი, ჩვენი ბანკები ამ მხრივ დიდ  
დახმარებას უნდა უწევდნენ ყოველ ქართველს.

აიღეთ სომხები, — როგორ ცხმარებიან

ერთმანერთს, როგორ უადვილებენ ერთ-  
მეორეს ვაჭრობის დაწყებას, სახლის შექმნას  
და სხვა.


გადმოხვეწილ სომხებიდან ზოგმა სახლი  
შეიძინა, ზოგმა დუქანი გააღო.

რითი? რა საშუალებით?

ისევ აქაურების დახმარებით.


მათ მაგალითს უნდა მივბაძოთ ჩვენც და  
მათგან უნდა ვისწავლოთ ჭკუა.

ივ. გომართელი



# ათხაზების დეპუტაცია

როგორც შეითხველებმა იცი-  
ან, აზრილის ბოლო რიცხვებ-  
ში თბილისს ეწვია ათხაზე-  
ბის დეპუტაცია, რომელიც  
მეფის ნაცვალს წარუდგა და  
ათხაზების სახელით სხვა და  
სხვა მოთხოვნა მიახ-  
სენა. მოთხოვნა იგი  
შეეხებოდა ათხაზების ახ-  
ლანდელ მდგომარეობას და  
მათ კულტურულ - ეკონომი-  
ურ ზრდა-განვითარების სა-  
ქმეს.



1. თ. მ. კ. შერვაშიძე. 2. თ. ა. გ. შერვაშიძე, 3. თ. მე-  
ლიტონ ემუნგარი, 4. თ. ასტამურ ინალიძა \*).

მათი მოთხოვნა შემდეგი იყო: 1. მი-  
ეჭვს განსაკუთრებული ყურადღება აქამდე მი-  
ვიწეებულს სოხუმის ოლქს, 2. გაიხსნას აქ-  
რაც შეიძლება მეტი სკოლა, უმთავრესად პრაქ-  
ტიკულ ხასიათისა, 3. გაყვანილ იქნას ახალი  
გზები და შესწორებული ძველი, 4. სწავლა  
სკოლებში სწარმოებდეს მშობლიურ ენაზე (ქარ-  
თულზე და ათხაზურზე), 5. სოხუმის ოლქი  
გამყოფი იქნას ცალკე გუბერნიად და არას  
გზით არ იქნეს შეერთებულ მიწერილი სხვა,  
უცხო გუბერნიასთან (მაგ. შავი ზღვის), 6. თუ  
შეუძლებელი იქნება ცალკე გუბერნიად სოხუმის  
ოლქის გარდაქმნა და იგი რომელიმე გუბერნიას  
უნდა შეუერთდეს, იმ შემთხვევაში სოხუმის  
ოლქი შეერთებულ უნდა იქნეს ქუთაისის გუ-  
ბერნიასთან, 7. სოხუმის ეპარქია, რადგან ის

მთელი თავისი წარსულით და აწმყოთი შესისლ-  
ხორცებულია საქართველოს ეკლესიასთან, არას  
გზით არ უნდა იქნეს გამყოფილი საქართვე-  
ლოს საეკლესიო ცენტრთან.

მეფის ნაცვალმა დიდის ყურადღებით მო-  
უსმინა დეპუტაციას და ყოველგვარი დახმარება  
და სურვილების შესრულება აღუთქვა

დეპუტაცია წარუდგა აგრძელებს საქართვე-  
ლოს ექსარხოსს, არქიებისკომისს პლატონს  
და მეფის ნაცვლის თანაშემწეს თავ. ორდოვს,  
რომელიც თავის მხრივ აგრძელებს ყოველივე და-  
ხმარება აღუთქვას.  
მი — ლი

\*) აქ ჩამოთვლილ პირთა გარდა დეპუტაციაში  
იყვნენ: თავ. პეტრე ანხაბაძე და გლეხების წარ-  
მომადგენლები: ბ.ბ. ეზუსხაია და ანტონ ჩუკ-  
ბანი.





# შავი თმა

შენ სიშავე შენი თმისა შავ შადრევანად გადმოშალე,  
 შავ არშიად შეეთვისა ყელს მარმაში მოშრიალე.  
 შადრევანი შავად ჰკოცნის შავი ელვით აზავთებულს  
 ორ შავ გიშრის ორ შავ კოცონს, ორ შავ ნიშში უუქ ანთებულს.

თმა აშავებს ორ თეთრ შროშანს, თმა შავ გველებს ათამაშებს.  
 თმა გაშლილი ჰგავს შავ დროშას, შორის მთიდან ძირს დანაშევებს,  
 და შიშველი შენი მკერდი, შემოსილი შავ ალამით,  
 ისე შავობს, ვით მთის ფერდი, შესუდრული შუალამით.

ჩემ შადრევნის შარიშური აშაირდა გულში ჩუმად,  
 და გაშალა ფრთა გიჟური სულმა მფრინავ აბრეშუმად,—  
 სული შენსკენ მოშაირობს, შენით მთვრალი ფრთას შენ გიშვერს.

მშვიდ ნიავით შერხეული შლის შავ ზვირთებს თმა-ჩანჩქერი,  
 შავად ღელავს თმის ხვეული, თეთრს აშინებს შავი ფერი,—  
 შადრევანი შუქნაირობს და ელვებს ორ შავ გიშვერს.

ს. ა. შუკუ

# რ მ ბ მ კ ა

(თანამედროვე სურათი)

მას შევხვდი ორ ადგილას: პირველად  
 თბილისში და მეორედ გორში. ყავარჯენზე  
 დაბჯენილი იდგა ერთი დაწესებულების კა-  
 რებში და ყველა შემსვლელ-გამომსვლელს  
 დიდის ყურადღებით აკვირდებოდა. მისი ვაჟ-  
 კაცური გამომეტყველება, მისი გარეგნული  
 შეხედულება. ყველას ყურადღებას იპყროდა:  
 ჩერდებოდნენ, შეჰხედავდნენ, ჩაიცივნებდნენ და  
 გზას მხრიაულად განაგრძობდნენ,

ის სოფლელი ქალი იყო, შუა ხანს გა-  
 დაცილებული, რასაც მისი გაქაღარავებული  
 თმაც და სახის ნაოჭებიც ააშკარავებდნენ.  
 მზისაგან დაშუშებული სახის გამოხატულება,  
 ვაჟკაცური მიმოხვრა და შრომისაგან დაკორ-  
 ძებული ხელები მართლაც რომ ვაჟკაცის გან-  
 სახიერება იყო, მაგრამ, როდესაც მის ხმას  
 მოისმენდი, მის მეტად ბევრის მეტყველს  
 დიდრონს თვალებს ჩააკვირდებოდი, თქ-  
 ვენი ექვები ნიორწყლდებოდა და თქვენ წინ  
 იდგა მრავალ ტანჯვა-ვაებაში გამოვლილი

სოფლის ქალი, რომელიც ძმის სიყვარულს  
 ქალაქისაკენ გაეტყუებინა.

ის პირველად უნდა ყოფილიყო ქალა-  
 ქში, რადგან ხამად გამოიყურებოდა და ყვე-  
 ლაფერს მორიდებით ათვალთვრებდა. ცნობის  
 მოყვარეობამ გამიტაცა და, ვითარცა სოფ-  
 ლელმა, ქალაქში ჩამოსულს სოფლელს გა-  
 მოვეხმაურე:

— მე, ბატონო?... ბრილნარიდან გახ-  
 ლავარ, დათო ჩუბინიძის უფროსი ქალი. თუ  
 გნებავთ სახელსაც მოგახსენებთ—რებეკა მქ-  
 ვიან. აქ იმ ჩემი საცოდავი ძმის თაობაზე  
 გიხსელი, თორე აბა ამ სიშორეზე რა წამო-  
 მიყვანდა. უნცროსი ძმაი აჩილა „ნობილი-  
 ზაცია“ რომ გამოაცხადეს, მაშინ მივართვით  
 ხელწიფესა,—აი, იდროს იმი სახელი და  
 ძლიერებაი... აღბათ საჭირო იყო რომ წაი-  
 ყვანეს, თორე აბა რაში ეპრიანებოდათ. რო-  
 დესაც ეს ასე იყო, ჩვენ რაღა გვეთქმის.  
 ახლა, შენ დაგენაცვლოს ჩემი თავი, წითელ





ბილეთიანებიც მოიკითხეს, ხალხი ყოფილა საჭირო, და ახლა ერთად-ერთი ჩვენი მარჩენელი ძმაი ლადოც წაიყვანეს „ვაინის“ სამსახურში. წვრილ-შვილი კაცია. ოთხმოცდაათი წლის მამა გვყავს, მეც აღარაფერი შემოდლია, ჩემი ძალ ღონე ძმების ამოზდას შევალთ, გათხოვებაზე უარი ვსთქვი. დავბერდი. ჩვენი მარჩენელი ი ლადო ბიჭი იყო, ისიც წაიყვანეს და რა წყალს მივცეთ ჩვენი გათხოვებული თავი აღარ ვიცი? მირჩიეს, აქ ჩამოვსულიყავი: „პრაშენია“ მიეცი, შეგიწყნარებენ და ძმასაც გაჩუქებენო. აი, მეც ამ საქმეზე გიახელი ქალაქში. თუ რამ წვრილფეხი იყო ჩვენ კარმიდამოზე, სულ დავყიდეთ. ხომ მოგეხსენებათ ყველას პატივისცემა უნდა! აქ ერთი მაღლიანი კაცი შემხვდა, ოცი მანეთი მივართვი და რვა თუმანიც საქმეს რო მორჩება, მაშინ უნდა მივართვა. დამპირდა—შენ ძმას უეჭველათ გაგინთავისუფლებო. აი, ღმერთმა დიდი დღე და საათი მისცეს იმი ცოლშვილსა!

რებეკამ თვალნი სასოებით ზეცას აღაპყრო და მოჰყვა ლოცვას.

- რა გვარია? — შევეკითხე მე.
- ვინა, შენ შემოგვევლე,—ის კაცი?
- ჰო, ის, შენი მფარველი.
- რა მოგახსენოთ. გვარი არ მიკითხავს... ქაღალდები წაიღო. ხელიც მომაწერინა „პრაშენიაზე“, მითხრა—აქ მომიცადეო.
- ხომ არ მოგატყუათ? ქალაქი სიცრუის ბუდეა, ჩემო დაო, და შეიძლება...
- უი!.. აბა, რასა ბძანებთ?..—გაატატანა მან ხელები.—ისეთი ჩაცმულ-დახურული იყო, ისე ტკბილათ მემუსაიფა, რო აბა როგორ იკადრებს ტყუილსა?..

მომიჭრა სიტყვა რებეკამ და კარებისაკენ მიმავალს ერთს მოხელეს დაედევნა; დააკვირდა, მაგრამ ისე გამოზრუნდა—აღბად ის არ იყო, ვისაც მოელოდა და ისევე ყავარჯენს დაეყრდნო.

II

მეორედ—გორში შევხვდი: ისევ რაღაც დაწესებულების კარებთან და ისევე ყავარჯენზე დაყრდნობილს. მაშინვე მიცნო, გაეხარდა და მომესალმა.

— რა ჰქენით, დაო, როგორ წავივლიდათ ქალაქში საქმე? იყო პირველი ჩემი კითხვა.

— ეჰჰ!..—ამოიოხრა მძიმედ მან.—დამლუბა ი ჩემი ძმის ცოდვით სავსემა, დამლუბა!.. სადღაც დამემალა. ბარე ოთხ დღეს დავრჩი. მთელი ქალაქი შემოვიარე: ხან სად ვკითხულობდი, ხან სადა. ქალაქელები სიცილით იგუდებოდნენ. გიყათ ჩამთვალეს. ზოგი რას მეუბნებოდა და ზოგი კიდევ რასა. კიდევ დამიჭირეს, აფუხსენი ჩემი გაჭირვება, ბევრი იცინეს და შემდეგ „ტანციისაკენ“ გამამგზავრეს. მიწა რო გამსკდარიყო და თან ჩავეტანე, ის მერჩივნა იმდენ სირცხვილსა. ჰო, შედა ჩემმა ღმერთმა! ახლა, შენ შემოგვევლოს ჩემი თავი, აქეთ გამომასწავლეს, მითხრეს—თუ ეშველება შენ ძმასა, ისევ გორშიო და, ოღონდ იმას რამე ეშველებოდეს, თორემა აბა თავს როგორ დავზოგავ. აქაც ამეკვიტა ვილაცა, კნიაზსა ჰგავს. ერთი თუმანი ბეთ გამომართვა და როდესაც საქმეს მოვრჩებიო, ხუთი თუმანიც მაშინ უნდა მომცეო. ეჰჰ!... დაილოცა იმი სამართალი!.. არა, რაზე აგვიტება ეს დავიდარაბა, რას გვერჩოდა?.

— წარმოსთქვა მან საყვედურით და თვლებზე მომდგარი კურცხალი გადმოვარდა, მაგრამ აღბათ შერცხვა და მაშინვე მოიმშრალა.

ამ დროს კარებში ვილაც ჩოხოსანი გამოჩნდა: თავზე ორ ნიშნიანი ქუდი ჰქონდა ჩამოცმული და სამოსელსა და მშვენიერი თავის მორთულებათა შორის ისეთი შეუფერებლობა სუფევდა, რომ ძნელი გამოსაცნობი იყო—რომელ სამსახურში უნდა ყოფილიყო ის გვამი.

დაინახა თუ არა ჩემმა მოსაუბრემ, სიხარულით აენტო, ყავარჯენს ხელი უშვა და წამჩურჩულა:

— აი, ეს გახლავთ ის კაცი. აბა, კარგათ დააკვირდით. ესეც ხომ არ მომატყუებს გეთაყვა?..

ჩოხოსანმა ეჭვიანის თვლებით გამზომა და, როგორც მისი შეტრუსული სახის გამომეტყველება ამტკიცებდა, სრულიად არ





ქართული  
ბიბლიოთეკა

# „ღალატი“-ს ავტორთან

ის ხათელ სვეტად მაშინ ჩამეშუქა გულში, როდესაც ამ ათიოდე წლის წინად პირველად „ღალატი“ ვნახე.

ანანია—დათოს შემქმნელი არ მენახა და შემიფარდა, შიშის იყო და მუდამ თან დამდეგდა, სულს ჩემსა წმენით აკაყებდა.

— ერი წამებული ხალხის მიერ აღსდგება მკვდრეთით! მტარვალდი მესისხარი იმავე ხალხის ხელთ დაიმხობა, — აი რას შთამაგონებდა იგი...

— მართალია ეწამები, მაგრამ ნუ დაეცემი სუდითა: ცეცხლში გამოიწრთები და განახლებული აღსდგები! — აი, რითი მასაზრდობდა...

და ეს სუდით ღამასი მომხიბლავი, ზე-

თობს. მთელ სოფელში ისეთი არავინა გვყავს, რომ შენი გულისყური დროებით მარცხ მიეზიდნა.

**ოქრო.** სცდები, განო! თქვენ სოფელში საუცხოვო არსება იმყოფება და თქვენ კი მას სრულიად ვერ იცნობთ! ვერ შეგიგნიათ იმის პიროვნება, მისი მისწრაფება. იგი პირდაპირ ზეციდან მოვლინებულია და თქვენ კი გარეულ ნადირად მოგინათვლიათ. ეს როდია კარგი, რომ ადამიანმა ვერ იცნოს და ვერ დაფასოს თავისი მახლობელი?

**გაიანე.** ქეთინოზე ლაპარაკობ, არა?

**ოქრო.** დიად, ქეთინოზე!

**გაიანე.** რა, მოგწონს?

**ოქრო.** საუცხოვო რამ არის, ენით აუწერელი!

**გაიანე.** როგორც გეტყობა თვალში მოგსვლია!

**ოქრო.** ძალიან. . პირველი შთაბეჭდილება ასეთია და მერე კი არ ვიცი!

**გაიანე.** ვსთქვამთ, მერეც ასეთი აზრი შეგრჩეს, შეირთავ?

**ოქრო.** ეგ აზრი ჯერ თავში არ მომსვლია. რად იცით ხოლმე ქალებმა უეცრად გადაწყვეტა? ვისთანმე კაცს რო დაინახავთ, მაშინვე უსათუოდ უნდა შერთოთ ნუ თუ მარტო შერთვაა აუცილებელი? მე ქეთინოს



მსახიობი ნ. გვიანიძე

ამ ზაფხულს სიღნაღში მართავს წარმოდგენებს.

**მოლიკულ** (გაგრძელება) **გზაზე** იხ. „თ. და ც.“ № 22

### III

**გაიანე და ოქრო.**

**ოქრო.** (შემოდის, ხელში გახსნილი წერილით უჭირავს).

**გაიანე.** რას იწერება ტიტუკო?

**ოქრო.** მალე უნდა წავიდე, უჩემოდ თურმე არაფერი კეთდება რა.

**გაიანე.** მერე რა უნდა გაკეთებულიყო?

**ოქრო.** სკოლის შენობა უნდა დაეწყოს. ტიტუკო იწერება, ხალხი ვილაცას გადურევიანო, ხარკს აღარ კისრულობენ: თუ კარგაა, ხარჯი შენი იყოს და გაკეთება ჩვენო.

**გაიანე.** ნეტაი შენა, ოქრო! თუ მეტი გაქვს, მაკინეს მისცე, უფრო დაგიმადლებს ღმერთიც და ხალხიც. დღეს თუ ხვალ ბოქაული შეუარდება სახლში და შევრცხვებით.

**ოქრო.** მერე მე სადა ვარ? ფიქრი ნუ გაქვს. ჩემს მაკოს არა დააკლდება რა. უსათოდ მალე უნდა გავემგზავრო, დროით მივატანო ხელი და დავეხმარო, თორემ ხალხი ძალიან გაჭირვებულია!

**გაიანე.** ეგ კი არა, გენაცვალე, შენ მგონი მოწყენით მყევხარ, ვერვინ ვერ გარ-



აღმტაცო მონიქული-ქურუში, დიდი წოდებისა და გამტაცების მქონე ადამიანი, რომელსაც რუსეთის (უცხოეთისაც კი) სათეატრო და სამწერლო ასპარეზზე დიდი სახელი აქვს მოხვეჭილი, 8 მაისიდან ივნისის პირველამდე თბილისში იყო საგასტროლოდ...

ყოველი მისი წარმოდგენა და მისგან-მისგან ერთი ზეიმი იყო...

მაგრამ მე სულ სხვა მხრივ მაგულისხმებდა მისი თბილისში ყოფნა!

რა გზას უნდა დაადგეს ჩვენი თეატრი, როგორ მოემზადოს მსახიობი, რა გზით უნდა ვეცადოთ ქართული თეატრის მაღე აშენებას,



ალ. სუმბათაშვილის (\*) პატივსაცემლად გამართულ ნადიმის

ვიცნობ, როგორც კეთილ ადამიანს და არა საცოლოს ასე განო! რა კარგია თქვენი სოფლი საცხოვრებლად. ადამიანს ხელს უწყობს ყოველის მხრივ! ძალიან მომწონს ამისი მომხიბლავი მდებარეობა, ამისი მსუბუქი ჰაერი! (კარებში მაკინე გამჩნდება).

**გაიანე.** თუ კი ასე მოგწონს, მესტუმრე ხოლმე, გენაცვალე, ყოველ ზაფხულს!

**ოქრო** უეჭველად მოვრჩები თუ არა ჩემს საქმეებს, იქა ვარ!

IV

იგინივე და მაკინე.

**მაკ.** (შემოვა) ჩემთან და, ბიჭო? მე როდისღა მესტუმრები?

**ოქრო.** ო, მაკო! (ჭკოცნის) შენა გგონია, შენ კი დამავიწყდი? ამ ზამთარ რამდენიმე კვირით შენც გეწვევი.

**გაიანე.** მე საქმე მაქვს.

**მაკ.** რა ამბავი შეიტყე, ოქრო, წერილიდან?

**ოქრო.** უნდა მალე წავიდე. უჩემოდ არაფერი კეთდება, მაკო!

**მაკ.** მოიცა. ცოტა ხანს კიდევ. გენაცვალე! ხვალ ზევით რომ კნ. თეკლესთან ვართ დაპატივებულნი.

**ოქრო.** კარგი, რა კი შენ გინდა—მეც დავრჩები.

**მაკ.** განა მოგეწყინა აქაური საზოგადოება?

ლოება? ვერ შევხვდი, ჩემო კარგო, შენის აზრების თანამოაზრეს.

**ოქრო.** წარმოიდგინე, რომ ერთმა ადამიანმა თანაუგრძნო ჩემს მიზანს და ჩემს იდეიას!

**მაკ.** ვინ არის, ჩემო ძვირფასო, ნუ თუ ამ სოფელში მოიპოვება ისეთი ვინმე, რომ შენი სიტყვა, შენი აზრი გაიგოს და დაათასოს? განა ისეთი ვინ უნდა იყოს?

**ოქრო.** ქეთინო!

**მაკ.** (ელდა ეცემა, მაგრამ თავს იკავებს)?! განა იმისთანა განვითარება აქვს?

**ოქრო.** ქეთინო ძალიან განვითარებულიც არის და საკმაოდ ნასწავლიც! იშვიათად შეხვდები, ისეთი ნიჭით იყოს დაჯილდოვებული ადამიანი ბუნებით, ისეთი, ლამაზი და სპეტაკი არსება იყვეს, როგორც ქეთინო! შენ როგორ მოგწონს ქეთინო?

**მაკ.** ჰო, არა უჭირს რა. (სიტყვება ეკარგება) საკვირველია, რომ ნაქები ისე აღარ ეჩვენება ადამიანს. მაინც, ჩემის აზრით, არა უჭირს რა, რაც შეეფერება იმ გარემოებაში მყოფს!

**ოქრო.** მე კი აღტაცებული ვარ!

**მაკ.** მაშ, შეირთე!

**ოქრო.** წარმოიდგინე, განომაც მითხრა, თუ მოგწონს შეირთეო! ის იმდენად წმინდა, მიუწლომელ განუხორციელებელ იდეალად მყავს დასახული, რომ მისი ცოლად შეერთვა ვერ წარმომიდგენია.





ფიქრებს თუ არა, სამშობლოში დაბრუნდეს და მრ. სხ. კითხვა აღმოქრას, რომელთა გამოსარკვევად, როგორც იქნა, უკანასკნელ წარმოდგენის დროს 1 ივნისს ვინახუდე...

„ლალატი“-ს ავტორი, რაუდენადაც დიდი მსახიობია, ნამდვილი ხელოვანი, იმდენადაც დაბზისული, დინჯი, თავაზიანი, მახვილგონიერი, და გამჭრიახი ჭკუის კაცი...

ათარბუგის რეჟიში იყო, სტენაზე შედი- თდ-გამოდითდა, მიუტყელი, და მიუხედავად ამისა, ბევრი საუკრადლებო რამ გამოიზიარა, რასაც მკითხველთ შემდეგ ნომერში გაგაცნობთ..

იოსებ არიმათიელი

მონაწილენი 1916 წ. 18 მაისს „ახალი კლუბის“ ბალში

მაკ. (დამშვიდდება) მართალს კი ამბობ, ოქროჯან, იმისთვის მიყვარხარ აგრე, რომ წლოვანობის შეუსაბამო ჭკუას და შორს მხედველობას იჩენ. ქეთინო ჯერ ბავშვია. მეუღლეობისა არა გაეგება რა დასანამ გონებას მოიკრეფდეს, დიდი დრო გაივლის. მეორეც ესა, ჩემო კარგო, ისეთი მოთხოვნილება გაქვს საქველმოქმედო მოღვაწეობისა, მოძმეთა შემწეობისა, სხვადა სხვა დაწესებუბათა მართვისა, მამულის წესზე დაყენებისა, რომ შენ მეტი შეძლება უნდა ეძიო, შენი შესაფერი სწორედ ლიზაა, თადეოზის ქალი, დეიალებსაც მისწვდები, ძვირფასო! ნათესავებსაც, წრეს, რომელშიაც ტრიალებს ქალი, შენთვის დიდი მნიშვნელობა აქვს! რაც უფრო მაღლა სდგას, რაც უფრო განვითარებულია და ნივთიერადაც მდიდარი, იმდენად შენ სიტყვას და აზრს მეტი ნაყოფის გამოღება შეეძლება!

ოქრო. (შივს ფანჯარასთან) რა მშვენიერი დღეა! სული სადღაც მიჰქრის!

მაკ. შენც გაისვირნე, გაიარე საითკენმე.

ოქრო. ჰა, რას ამბობთ? ლიზაა შესაფერიო? არა, მე ის არ მომწონს. აკი გეუბნები ჯერ არ ვფიქრობ ცოლის შერთვასა მეტქი!

მაკ. შენი ნებაა. მე მარტო ისე ვსტქვი, ჩემო კარგო, რომ იდეალების მისაღწევად ნივთიერი ქონებაც საჭიროა მეტქი!

ოქრო. ეგ მართალია, მაგრამ მარტო ნივთიერი სიმდიდრე არა კმარა. განათლება,

ჭკუა, გონება, სწავლა და მიმზიდველობაც აუცილებელია. ვთქვათ მაკო, ქეთინო შენგან დასახლებულ გარემოებაში იყვეს, არც მაშინ იქნება შესაფერი?

მაკ. რატომ... ეხლა კი მაგას აგრე მიმზიდველობა ხდის კეკლუცობა, სილამაზე! მერეღა? შენის ბედნიერებისათვის ვამბობ, ოქრო, თორემ თუ კი დარწმუნდები, რომ ნამდვილად წარმოდგენილი იდეალი მასში მოიპოვება, შეირთე, ღმერთმა გაგაბედნიეროს!

ოქრო. მე იმიტომ კი არ ვაქებ ქეთინოს, რომ უნათუოდ ცოლად შევირთო? არა, მე მარტო ვამბობ იმას, რაც არის!

მაკ. მეც არაფერში გელობები წინ, რადგან ვიცი, ვიდრე შენ საქმეს, არ ასწონდასწონავ ისე ფეხს არ გადასდგამ, რომ ბოლოს არ ინანო. ოღონდ შენ კმაყოფილი და მშვიდად იყავ, გენაცვალე, და სხვა არა მინდარა!

ოქრო. მაშ გინდა, კმაყოფილი და მშვიდად ვიყვე, რომ ჩემს საქმეს გულით და სულით მოვეჭიდო?

მაკ. განა საკითხავია?

ოქრო. მაშ ამისრულე სათხოვარი!

მაკ. მითხარი, რა გინდა?

ოქრო. შეურიგდი ტიტკოს, ეს სურვილი დღე და ღამ მოსვენებას არ მაძლევს!

მაკ. (წამოხტება, თითქმის ცივი წყალი გადააფლეს) შეურიგდე, მე--ტიტიკოს?! მას





# სტრიქონები

1.

მე შენს სიყვარულს ვერ დავემაღლე; ყველგან გააბა ქსელი, ბადენი, და ისე მათრობს, ვით სურნელგება, ნაძვის ხისაგან გადმონადენი...

2.

ვერ ავიტანე ღალატი შენი, გული მომიკვდა. ჩავიცვი თალხი. მოვშორდი ტოლთა და მეგობართა; დავგმე ქვეყანა. დავტოვე ხალხი. ან იქ რა მინდა?... ეჰ, დანაკარგი ბედნიერება, მითხარ, ვინ მიზღას? — ჰაინესავით, ჰაინესავით. უნდა მივძარტო, სიცოცხლე, დიდ ზღვას:

აღბად იქ მალე დამავიწყდები და შენს მაგივრად ზღვა მეყვარება; ისიც ხომ ისე უსაზღვრო არის, ვით ჩემი სევდა და მწუხარება?!

გ. მეგრელიშვილი.

# პრანჭიები

შენ რაღამ აგატუნტულა ორმოცი წლის პრანჭიავ, რაზე იქანჩავ სხეულსა, რაზე იბუგავ თმებსა შენსა?... კმარა, პრანჭიავ, ორი საათი უკვე გავიდა, შენი წასვლის დრო უკვე არი. ჩქარა თეატრში მიაშურევი, თორემ უშენოდ არ დაიწყობენ. ბევრს კი გაიგებ, უეჭველია, დარბაისლოურად ყურით მოისმენ. აბა, რას ბრძანებ, პრანჭია ქალო, რისთვის

იას. (ერუდ) არა.

მაკ. რას იტყვი? (იასონი ხმას აჩივებს). რა დაგეშართა, ყმაწვილო? სთქვი—რამე!

იას. გაზეთში ხომ წაიკითხეთ?

ოქრო. გაზეთი ეს ორი დღეა რაც არ მოუტანიათ! რა იყო?

იას. ჩვენ რომ ათასი დესეტინა მიწა გვქონდა...

ოქრო. მერე?

იას. მერე ისა, რომ გაგვეყიდა!

მაკ. (კინაღამ გული აჩივებს). რას ლაპარაკობ?

ოქრო, რატომ არ შემატყობინე, კაცო!

იას. ეჰ, რავდენი ჩემი საქმე გაიხლართოს იმდენჯერ შენ უნდა შეგატყობინო ხოლმე?

ოქრო. ფულებს გასესხებდი... თავის დროს ისევ დაიბრუნებდი. გაჭირვებაში თუ ერთმანეთს არ დავებმართ, როგორ იქნება?

მაკ. ვინ გაგვიყიდა!

იას. კარაპეტ მანველიანცმა.

გაიანე. ოხ, იასონ, ეგ რა ცუდი ამბავი მოგვიტანე...

ოქრო. დავიჯერო უკან აღარ დავიბრუნებს, როცა თავისი მიეცემა?

(გაგრძელება შემდეგ ნომერში.)

შემდეგ, რაც ჩვენ შორის მოხდა? რაც შენი ღალატი მოინდომა და ჩემი დაღუპვა და გაეტანლობა?

ოქრო. ეხ, რა ვუყოთ, ისევ ერთნი ართ. დარწმუნებული ვარ, აღარც კი ახლავს, თუ იმასთან რაიმე დანაშაული გაქვს, იმას შენთანა! შენც უნდა დაივიწყო. მათ შენი!

მაკ. (ჩიხანად) დანაშაული მაქვს მასთან?! მე... მასთან დამნაშავე ვარ?! (აშკარად) რას დროს!

ოქრო. გამოძიებას ნულარ შევუდგებით. უნდა შეურიგდე, რადგან უძრახობაზე ცუდი რა არის რა! მით უმეტეს დაძმას შორის!

გაიანე. ხმა. (კუჭისუბიდან); იასონ, საიან, კაცო! რა უცბად მოგვნახე!

მაკ. (შეკრთება) იასონი?! რა მალე იბუნაფენი! უმიზეზოდ არ იქნება მაგისი მოსლა ეხლა? (შემოფეხენ იასონ ჩამიშვილი, სახედრო ტანსაცმელში და გაიანე. იასონი დაფრეშილია).

## V

იგინივე, იასონ და გაიანე.

იასონ. (უსიტყვოდ მიესალმება ოქროს და მაკინეს. სკამზე წამოჯდება დაღონებული).

ოქრო. რა დაგმართია? გამხდარხარ! აღ იყავი?





იწვალე მთელი საღამო, თუ წარმოდგენას შეაღვე სულსა. შენი გონება და სული ერთად იქ გინდა მხოლოდ სხვას მოანდომო. სხვას ეწონები, სხვას უაღერსებ, გავლით-გამოვლით ყველას აკვირვებ. შენი ბრასლეტი, თვალ-მარგალიტი, ყურში საყურე, მეტად ძვირფასი, აი რა გინდა სხვას დაანახვო. რა დროს თეატრი, რა დროს ოპერა, შენთვის ფოიე არს სანეტარო. ყმაწვილებს ნახავ, ჩაუაღერსებ, გაიფისოებ, ჩაიჭიკჭიკებ, სხეულს აჩვენებ, თავს მოაწონებ, შენი სიცოცხლე სულ ამაშია.

მერე, პრანქიავ, რა ჰქვიათ ამას? რა სიცოცხლეა, რა არის ესა! ნუ თუ ამითი შენ არ ღალატობ შენს მეგობარსა, შენს ქმარს სახლშია; გგონია არა?— ძალიან სცდები. სჯობს მასთან ერთად სხეულიც დაჰგმო, თუ კი მუდამ სხვას შენ ეწონები. ეს მახინჯობა შენ არ გიხდება, შენ ხარ ბუნებით თვითონ ლამაზი. ჩაიცვი კარგად და მხიარულად, ნუ ჰფიქრობ, მხოლოდ კობტაობასა. სუყველას თვალთ კარგადა ხედავს ბუნებით ლამაზს კეთილს აგებას. თუ კი აჰყვები მოდას და მოდას, მუდამ იქმნები მხოლოდ პრანქია. ლამაზად ჩაცმა, კობტად ცქრიალი, სიმხიარულე შინაც კარგია.

მხოლოდ, პრანქიავ, შინ ჩლაჩუნა ხარ, სტუმრად და ხალხში მარტო გრაცია, მარტო გრაცია არა ბუნებით, მოდის მოგონით, შეთხუპნულობით.

მერე ეს რა დროს? ახლა, როდესაც მთელი ქვეყანა სულ წინ მიილტვის: ყველა სულღმული სცდილობს ამაღლდეს, ჰკვით განვითარდეს, სულით უღრმემდის მთლად განსპეტაკდეს. შენ კი, პრანქიავ, აბა რას, რას შვრები, მუქთად დასდიხარ და არა სცხრები! თავი მით მოგაქვს, რომ ნათლად სცხხოვრობ, ქმარს არ ჰღალატობ, მხოლოდ კეკლუცობ. მე კი და გეტყვი, ქალო პრანქიავ, საერთოდ ყველას შენ შესძადები, მერე იპრანქე შენ სიბერემდის, მთელი დღეები იდექ სარკესთან, არვინ დაგიშლის თავისუფლებას, ესეც მოდაა, აბა რას გეტყვი.

ველარ მოვითმენ კიდევ არ გითხრა: მოდამ წყელმა მთლად გადაგრია, თვითონ კარ-

გი ხარ, რას იგრიხები, რაზე ითვისებ სახელს პრანქიას.

აგერ ოთახი შენს გავლის შემდეგ, აბა მობრუნდი, ნახე, რასა ჰგავს?! სადილის შემდეგ როგორც გეძინა, საბანი ისევ ახილ აგდია, ბალიშზე სარკე, ზეწარზე შპილკა, ზედ ერთი ფლოსტი, მეორე ძირსა. აქვე „კრაოტზე“ სავარცხელია, მთლად ჭუჭუი აღევეს, თმებით სავსეა... არ ვიცი... ვინ შენ, ცქრიალა ქალსა, ნაზად ჩაცმულსა ესე სავარცხელი, რად გიჭუჭყდება ნეტავ არ იტყვი?! მაგრამ რა უყოთ, თმებში რა მოსჩანს, სუნიც არა აქვს, ღუხი დაჰფარავს. აგერა სტოლი, ზედ რა არ არის: ღუხის კოლოფი პირლია დაგრჩა, პრობკა მიაგდე იქვე სტოლზედა, ქინძისთავები აქა-იქ ჰყრიან, მათი კოლოფიც გახსნილი გდია, სადილიდანა ორი სალფეტკი ამ ტუალეტზე დაგრჩა წედანა, ზედ სალფეტკებზე კოლოფი გდია შენის საათ-ს ოქროს ძეძკვითა; როს გაიკეთე ეს სიმდიდრენი კოლოფიც აქვე ღია მიაგდე. გძელი მაშები გაფანტულს პუდრში, კბილისა ჩოთქი, მაზი ტუფლისა აქვე არს ყველა დომხალივითა. სტოლის ყუთიც კი არც კი შესწიე, არ გაასწორე. აგერ კრაოტის ბოლოშია შენგან ჩახდილი იუბკა გდია, კიდევ რალაცა, ძნელად ირჩევის, ორ ზორტ შებმული რალაც პარკია, სულ იატაკზე გაფანტულია, რაც კი რამ გეცვა თეატრის წინა და... ყველა ესა, აბა რა გითხრა, ნუ თუ, პრანქიავ, საკადრისია?!

შეხედულობა დარბაისელი, ქმრის და ყველასი შენ საყვარელი, რად იგრიხები, რაზედ ირჯები, რაზედა ჰკარგავ შენს კარგს ყოფნასა! კიდევ ცოტას ხანს ასე ჰკვივითა ყველას დაჰკარგავ, დარჩები მირტო და მერე თუნდა ბევრი იპრანქო, გვიან იქნება, შეჰხედე ღმერთსა!

მე არ გისურვებ ცხვირზე „აჩქებსა“, ბრძნულს მეტყველებას დიდსა სიბრძნესა, იყავ ლამაზი და მასთან ნაზი, კობტად ჩაცმული მხოლოდ შენთვისა, არა სხვისთვისა. ეს ბუნებრივი სიმშვენიერე, მუდამ შენ გღვედეს სახლში და კარში, მერწმუნე მაშინ სიტყვა „პრანქია“ არ მოგიდგება, არ გეკადრება.





# ლადო დარჩიაშვილის ხსოვნას

იყავ მშრომელი, იყავ ბეჯითი, მიმოიხედე ქვეყანა სტირის, მიდი უშველე ქვრივ-ობოლოს, მოდა რას გარგებს ცხოვრებაშია. აბა, უყურე, ძველად ქალები რას აკეთებდენ, როგორ სცხოვრობდენ და დღეს კი შენი გონება სული ბრასლეთ-ბეჭდებში ჩაგისახია აგერ პაწაწა სოფლის ბალანა სტირის და ცრემლებს ღვრის შეუშრობლად. მამა, ბიძები ომში წასვლია, დედა ჯანს ალევს სხვისა კარზედა, შენ კი სიმდიდრე ყელზე გკიდია, აბა, ეს რას ჰგავს ჩემო პრანქიავე?!

მე ნუ მიწყობი, კარგად ჩაფქრდი, მე მოგახსენე სიტყვა ხმოვანი, ჩემი არ გჯერა?.. მაშ მოუსმინე, რას მოგახსენებს შენ სილოვანი:

„ქალი ის არის ვინც მანჭვით, გრუნით თავს არასოდეს არვის აწონებს, ღვთაებრივ სახით სიტკბო-სიმშვიდით ციურს ანგელაზს ვინც მოგვაგონებს.

ქალი ის არის, ვისაც აქვს გული მზრდელი უმანკო სიუვარულისა და სათნო სული, კეთილის მსურვი, მამნიჭებელი სისარულისა.

ქალი ის არის, ვინც ოჯახს უვლის, მრძობით აშვენებს თავის სილამაზეს, ვინც ვაჟს გვერდს უდგას, შრომაში ვაყობს, მაგრამ არ ჰკარგავს ქალის სინაზეს.

ვით გაზაფხული ვარდ-უვავილებით არის ბუნების შემამკობელი, ეგრეთვე ქალი სათნო მშვენებით— დამიანთა დამატკობელი.

ქალი ის არის წმინდა გრძობებით ვინც გვასხეტაკებს, გვამხნეგებს მაკად, ვინც ჩვენს დატანჯულს, შეწუხებულს სულს მოეფლინება დაფითის ქნარად“.

აბა, რა გიყო, ჩემო პრანქიავე, ესეთი ხალი შენ ხომ არა ახარ, ჩემი ბრალი ხომ გი არ არის?! დაივიწყე შენ მოდა, გრაცია, ცი პატივი შენს ქალობასა და, მერწმუნევი, შენც ემგზავსები სილოვანის ქალს, მის არებასა,

მასხვს კეთილი ლადო, მასხვს და მუდამ ნათელი დარჩება ჩემს ხსოვნაში ვიდრე გონება შემჩნება. მასხვს მისი დარბაისლური შესვედრა, მისი გულწრფელი რჩევა, დარიგება, რომელიც უფულ შესვედრის დრეს მეტულდა ხელმე:—ქალო, რათა ხარ მუდამ დაფრემილი და სუვდიანი? იკითხე, იმეცადინე, ჯერ ახალგაზდა ხარ, მომავალი შენიაო.

მიხმობდა წინმსწავლობისაკენ და მიჩნევდა, როგორ უნდა მიმედწია მიზნისათვის ის, თითქო ჩემს სულში იხედებოდა, მან შეუცდომლად ამოკითხა ჩემი სახიდან ჩემი უმწეო გულის თქმა და მუდამ ძმური ნუგეშით მიწვდიდა ხელს.

დღეს მოკვდა იგი, მოკვდა უანგარო და წრფელი გრძობებით აღსავსე ადამიანი, მოკვდა და თან წარიდო წრფელი ზრახვა თავის ობოლ სამშობლეს შვილთა, რომელზედაც ფიქრო ერთ წუთსაც არ შორდებოდა და გიჟურის გრძობით გატაცებული მოუთმენლად ელოდებოდა ხსნას მრავალ ჭირნახულ სამშობლელისას.

მას უუვარდა სამშობლო, უუვარდა ჩაგრული მოძმე, უუვარდა ბუნება, მშვენებულება, მაგრამ უფულოვე ეს მუხთალი გამოდგა მისთვის: მას ვერა არგოდა თავგანწირულმა სიუვარულმა თავის ქვეყნის და მოძმისამ, მას ვერა არგო რა უანგარო შრომამ, მოღვაწეობამ.

ის არა თუ მიზნის მიღწევას მოესწრო, არამედ თავის საუვარელო სამშობლელს მიწას რომ მიბარებოდა, ისიც კი დანანდა მისთვის ბუნებას.

ეჭვ ვინ იცის უკანასკნელ წუთებში რა აღმოხდა მისი ობოლი გულიდან; ვინ იცის ვის უნდობდა, ვის ავედრებდა თავის უმწეო სამშობლელს სვე-ბედს?

ვინ გაუთხარა უცხო მიწის შვილს უცხო სამარე?

სამარადისოდ იუფს ხსენება შენი, დინჯო, დარბაისლურ ლადო! და იო ახვლელდიანისა

ილო.



# ხელოვნების მოკლე ისტორია

## ფინიკიელები და მათი ცივილიზაცია

ბოლონელმა გამოკვლევამ ნათელი მოჭოფი ნა იმ გარემოებას, რომ ეგვიპტესა და ასურეთს საბერძნეთზე პირველ ხანებში ქქონდათ გავლენა, მაგრამ ეს გავლენაც შუამავადის წყალობით ეფინებოდა ქვეყანას. უველასზე მარჯვე შუამავადნი იყვნენ ფინიკიელები. ისინი თავდაპირველად სპარსეთის ურეს ნაპირზე მოსახლეობდნენ და ამის გამო ნათესაური დამოკიდებულება ქქონდათ ქალდეველთა და ასურელებთან. შემდეგ კი, ქრისტეს შობამდე დაახლოებით მეოცე საუკუნეში გადმოსახლდნენ სირიაში. ამ ნაყოფიერ ქვეყანას კი უძველესი დროიდან ეტანებოდა სხვადასხვა მოდგმის ხალხი, აქ იღებდნენ ბინას, ასე რომ მოსახლეობა აქ მეტად მჭიდრო იყო და ამიტომაც ფინიკიელები იძულებულნი იყვნენ ვიწრო ფარგალი აერჩიათ საცხოვრებლად: ლიბანსა და ხმელთა შუა ზღვის ტალღებ შორის. აქ ხმელეთზე ფინიკიელები დიდს ვიწროობას განიცდიდნენ და აღმოსავლეთისკენ არა ქქონდათ გასაქანი, დასავლეთით კი მათ წინ გადაშლილი იყო ბევრ რამის მომტანი ფართო ზღვა და იწვევდა მათ სამოქმედოთ. ისინიც ბედნიერებას ამ ზღვაში ეძიებდნენ და დიდხანს ისინი იყვნენ პირველი მეზღვაური და პირველი ვაჭრები ანტიური ქვეყნისა.

მათ არ შეუქმნიათ ერთი, მთელი სახელმწიფო. თითოეული დიდი ქალაქი დამოუკიდებელი იყო. მათში უმთავრესნი იყვნენ არადი, სიდონი და ტიროსი. ამ ქალაქებში უზინატესობა მოვაჭრე არისტოკრატისა ქქონდა. მეფეებიც ქვაგდათ, მაგრამ მათ არა ქქონდათ დესპოტიური უფლება მინიჭებულნი. მათ უფრო იმისთანა მთავრობა მოსწონდათ, რომელიც ვაჭრობას უწევდა მფარველობას, პოლიტიკურ თავმოყვარეობას ისინი არ განიცდიდნენ და ამიტომაც ადვილად იტანდნენ უცხოელთა მიერ დაპყრობას, ცოცხლად თვითონ სარგებლობა ენახათ რამ. ისინი უფრო ხარბი ვაჭრები იყვნენ, შეძენასზე გადაკეპულნი და სახითაც ღირსებას მოკლებულნი, ცბიერი და გაიძვერები იყვნენ.

მათი რელიგია ასირიულსა ქვაგს — მისისხარი (სისხლის მწეურვალი) და ვნებიანია. ფი-

ნიკიელი დემეტრიც მათ თავსანისმცემლებთან ერთად დამოკზაურობდნენ და ეგვიპტელებს სხვა ქვეყნებსაც. მაგალითად ფინიკიელი ვენერა — ასტარტა, ან ტიროსის დემეტრი მელკარტი. ბევრი მათგანიც ბერძნულ დემეტრთა წინაპარია. ფინიკიელებმა სხვა სამსახურიც გაუწიეს ცივილიზაციას: მათ შემოიღეს უხერხულ ეგვიპტურ და ასურულ წარწერათა მაგიერ ანბანური წერა და მოჭოფინეს ცის ქვეშეთს.

## ნაშთები. არქიტექტურა.

ფინიკიელთა ხელოვნების შესწავლა უველასზე უკეთ გარეშე ქვეყნებში შეიძლება. თვით ფინიკიაში ისეთი საგულესხმო ვერა აღმოაჩინეს. რა მათ შესახებ, რაც ეგვიპტესა და ასურეთში ეგვიპტე ითქმის კართაგენზედაც სირიის პირდაპირ მდებარე კუნძულ კიპროსზე, სადაც ფინიკიელებ ერთ დროს დიდი ქალაქები ქქონდათ გაშენებულნი, აგრევე ბევრი რამ ნაშთი აღმოაჩინდა. ქრისტეს შობამდე მათე საუკუნეში სწორედ ამავ კიპროსზე ბერძნებმა დაიდეს ბინა და ამიტომაც აქ ჩვენ საყურადღებო მოვლენასთანა გვაქვს საქმი უკვე განვითარება-მომთავრებული აღმოსავლეთური ხელოვნება და ახლად წარმოშობილი — ბერძნული ერთი მეორეს გადასწვნია. ბევრმა მკვლევარმა და განსაკუთრებით ამერიკელ კონსულმა ხესნოლამ 1860 წ. კუნძულის სხვა და სხვა ადგილას იპოვნეს შენობათა და ნეკროპოლისის ნაშთები (ბევრი მათგანი ეხლა ნიუ-იორკის მუზეუმშია მოთავსებული). ამას გარდა საბერძნეთში იტალიასა და გალთა ქვეყანაში აქა-იქ იპოვნეს ფინიკიელთა მიერ შემოტანილი ნივთები.

ფინიკიური ხუროთმოძღვრება კი იმდენად საყურადღებო არ არის. შთენილ ნანგრევებზე ვატყობთ, რომ უვარებიანთ უზარ-მარჯარ ქვეებისა და მასალების ხმარება, ნდომებიანთ ბუმბუკისა სანახაობით გაეცვიფრებინათ მხანველები. ესეთი არადის გალაფანში შთენილი ნანგრევი, ამრიტატადარი კი ფინიკიაში, გოლგოსასი კიპროსზე და სხვ. ესენი მაინც და მაინც ისე დიდები არ არიან; სვეტებს უფრო ბერძნული, დროული დრონიური ნაკვთიერება აქვთ, მაგრამ მათებურად მოხდენილი და გამწვანარული მაინც არ არის არის აგრეთვე დარჩენილი სხვა და სხვა შენობები: ნავთსადგურისა, თოფხანისა, გალაფნები, მაგრამ ამათ იმდენათ მხატვრული სილახათე არ შესდგამთ, რადგენადც უფრო პრაქტიკული ვარგისობა.

შალვა დადიანი



# საბრალო დათია

ჩაფიქრებულა დათია,  
 საბრალო გლები ძალზედა,  
 შუბლი ნაოქად შეჭკვრია,  
 ცრემლი ჩამოსდის თვალზედა  
 რა ქნას, რა უყოს ჯალაბსა,  
 ძალ ღონე გამოლეულმა?  
 საით წავიდეს ქირაზე,  
 ან როგორ მოხნას სნეულმა?  
 სანამ გვერდს ედგა შვილები,  
 მკადი არ შემოჰკლებია,  
 ღვთის მოცემული პურ-ღვინით  
 ობლებსაც ხშირად ჰრგებია.  
 დღეს-კი, რაღა ქნას, რა უყოს  
 ორი ვაჟკაცის ცოლშვილსა?  
 რითი შემოსოს ბავშვები,  
 რით გაუმკლავდეს სიმშილსა!  
 მაგრამ სიმშილსაც აიტანს,  
 ბედისგან განაწვალევი,  
 ოღონდ-კი ჰყავდეს ცოცხალი  
 ომში წასული შვილები;  
 ოღონდაც არ გაუმწარდეს  
 სიბერე ბოღმა შხამითა,  
 არ დაუბნელდეს თვალევი,  
 არ შეიმოსოს შავითა!  
 მაგრამ სად არის იმედი?—  
 აგერ ეს ერთი წელია,  
 არ მიუღია წერილი  
 და ცხარე ცრემლის მღვრელია.  
 ზეცა სდუმს... მიწა გავსილა  
 სისხლით და ცრემლის დენითა...  
 და უბედური დათია  
 სავსეა კაეშანითა!

სიმო კალანდაძე

# საზოგადოება „იმედი“

ქართველი ქალი დროებითი ბურჟუაზიის თან-  
 დათან ერკვევა და ქვეყნის წინსვლის საქმეში  
 ებმევა.

საგანმანათლებლო-სამწერლო ასპარეზზე ჩვე-  
 ნმა ქალებმა უკვე თვალსაჩინო ნაბიჯი გადადგეს.  
 ამერ-იმერეთის, დედა ქალაქთა თუ ზოგიერთ და-  
 ბის ქართველი ქალი მხნედ მუშაობენ.

ამ ბოლო დროს საგაქრო საქმეშიც ჩაებნენ:  
 „ქმური ნუგეში“ და სხვ. უკვე სწავრდებიან,

ახლახან ქართველ ქალთა ერთი წრის შემთხვე-  
 ვით დაარსდა ნიჭიერ საზოგადოების  
 დამხმარე საზოგადოება „იმედი“, რომელიც ნი-  
 თიერ სახსრის მოპოებას ფასიანი სასაღიფას და-  
 ფუძნებითა ფიქრობს. საზოგადოებას წესდება უკ-  
 ვე დამტკიცებული აქვს და თავის მიზნის განსა-  
 ხორციელებლად დღეს, ივნისს ხარფუხის კლუბის  
 ბაღში სეირნობას მართავს. თქმა არ უნდა საზო-  
 გადოება დიდის უურადლებით მოეზურება ამ ნაწილს  
 „საზოგადოებას“ და ხელს შეუწყობს, რომ  
 „იმედმა“ თავისი საზოგადოება და სასარგებლო მი-  
 ზანი განახორციელოს. ექიმი შტოკმანი



**ბორჯომშიაც**, როგორც მთელ საქართველო-  
 ლში, პირველ მაისს უნდა გამართულიყო თამარის  
 საღამო, მაგრამ საზოგადო საკრებულომ ამ დღეს  
 დარბაზი არ დაუთმო („სინემატოგრაფი გვაქვს და  
 ვერ მოვშლით“ და სხვა ამისთანა ვითომდა მიზეზე-  
 ბით იმართლებდნენ თავს მამასახლისები), ამიტომ ეს  
 საღამო გაიმართა სამშაბათს, 3 მაისს, შემდეგი პრო-  
 გრამით: I დაიდგა ცოცხალი სურათი; ბავშვების  
 გუნდმა ბ. მ. გერმანიშვილის ლოტბარობით შეასრუ-  
 ლა რამდენიმე ქართული სიმღერა („თამარის დროშა“,  
 „თამარ მეფე და ხონთქარი“ და სხ.) და წარმოსთქვეს  
 ლექსები. II მსახიობთა ვ. აბაშიძის და ი. ყივიძის  
 მონაწილეობით წარმოადგინეს „სიძე-სიმამრი“ და „მა-  
 თიკა“. ბ. ვ. აბაშიძე საგანგებოდ იყო მოწვეული ამ  
 საღამოსთვის და საზოგადოებაც დიდი აღფრთოვანებით  
 შეხვდა მას: მხურვალე ტაში ასტყდა დარბაზში მსცო-  
 ვანი მსახიობის სცენაზე გამოსვლისათნავე და ასეთივე  
 ტაშით თავდებოდა ყოველი მოქმედება. მოწვეული  
 იყო აგრედვე ს. ხაშურიდან სც. მოყვარე ქალი ქეთო  
 კალაძე. როგორც წარსულში, ისე ახლაც ამ სც მო-  
 ყვარე ქალმა აქაურ საზოგადოებაში კაი შთაბეჭდილე-  
 ბა დასტოვა. დარბაზში ტევა აღარ იყო. საღამო გა-  
 თავდა ღამის 12 ს. დასასრულ ბ. ვ. აბაშიძის პატივ-  
 საცემლად გაიშალა ქართული სურფრა. აღსანიშნავია,  
 რომ აქაური ქართველობა მეტად დაქსაქსულია, მათ  
 შორის არავითარი ერთობა და კავშირი არ არსებობს.  
 ვერ ნახავთ ერთად შეკრებილ ქართველებს, თითქოს  
 გაურთიან კიდევ ერთმანეთს. ამ საღამოს კი სულ სხვა  
 რამ მოხდა: ამ სურფრაზე შეხვდა ერთმანეთს ადგილობ-  
 რივი ქართველი ახალგაზდობა, რომელსაც თითქო სა-  
 ერთო არა ჰქონდა რა, არც საზოგადო და არც კერძო



ცხოვებაში, მაგრამ, როცა ერთი გვარტომი—ქართველთა შვილი ერთმანეთს პირისპირ შეხედნენ, თითოეულის მათგანის სახეზე ნათლად გამოიხატებოდა, რომ მათ საერთო საქმისათვის, საერთო მიზნისათვის და მისწრაფებისათვის უცემთ გული, მაგრამ ამის განხორციელებას ხელს უშლის დღევანდელი დუხჭირი ცხოვრების პირობები. ამიტომაც არის, რომ ბორჯომში ქართული საზოგადო საქმე არა სჩანს და შეერთებული საქმიანობის კერაც—ქ. შ. წ. კ. გ. ს.—ბის ადგ. განყოფილება იფერფლება, ძლივსა ბუუტავს... დაე ეს სუფრა ყოფილიყოს მიზნად ბორჯომის ქართველი ახალგაზდობის შეერთებისა და შეკავშირებისა ყოველ გვარ ქართულ საზოგადო საქმის აღორძინება-აყვავებისათვის.

დ—ე

**სახაზინო თეატრში** ორშაბათს, 30/V, ქართლ დრამ. საზ-ის თაოსნობით ალ ივ. სუმბათაშვილის პატივსაცემლად ქართ. დრამ. დასმა წარმოდგინა „ლალატი“. პიესაში თუმცა უკეთესნი ძალნი მონაწილეობდნენ, წარმოდგენა მაინც მოისუსტებდა: ყველა მათგანს წინად გაცილებით უკეთ შეუსრულებია ნაკისრი როლი,

გვიკვირს, მხოლოდ მხახიობით შორის რატომ არა სჩანდა დრამ. საზ. ერთი დამფუძნებელთაგანი—საპტიო წევრი და ანანია-გლახას შემქმნელი კ. ყითიანი. წარმოდგენის დაწყებამდე ალ. ივ. სუმბათაშვილმა წაიკითხა „ლალატის“ წინასიტყვაობა. მესამე მოქმედების შემდეგ მსახიობთა და დრამ. საზ. გამგეობამ ა. ი. სუმბათაშვილს მცირე ზეიმი გაუმართეს: გამგეობის მხრით შევნიერი სიტყვა უთხრა სოსიკო ბარათაშვილმა, დაფნის გვირგვინი მიართვა დრამ. საზ-ის თავმჯდ. ნ. დ. ერისთავმა (ზედ წარწერით: „სასიქადულო მ მულიშვილსა და ხელოვნების ქურუმს თ-დ სუმბათაშვილს...“). თბ. გუბ. თავ.-აზნ. მხრით კ ი. სვიმონიშვილმა მიართვა ძველებური კულა, კ. მესხის ქვრივმა კ. მესხის სურათი, დასმა—ბ სუმბათაშვილის თანადასწრებით მონადიმეთ ბალში გადაღებული სურათი. ა. ი. სუმბათაშვილმა თავის მხრით ქართულ დასს მიუძღვნა ვერცხლის გვირგვინი (ზედ წარწერით: „ქართულ თეატრს „ლალატის“ მადლიერი ავტორი“) და ყველას მადლობა დადუხადა (ქართულად). დიდძალი საზოგადოება დაესწრო. უსავანო.

**სახალხო სახლში** ოთხშაბათს, 1/VI, ი. ზარდალიშვილის თაოსნობით პირველად ქართულ ენაზე წარმოდგინეს 1, „ურისის სისხლი“, 3 მოქ. დრამა ბერნშტეინისა, თარგმანი შ. დადიანისა და ძველი ვადვილი II „ვაი ყობოში“. ურისის სისხლი შეეხება ებრაელთა საკითხს და ძლიერ მოეწონა საზოგადოებას, თარგმანი საუცხოვოა. პიესა ღირსეულად ვერ იქმნა დადგმული. პირველ მოქმედებაში შეკრებილი უმცლესი საზოგადოების უმეტესობა უფრო ლაქიებს მოგაგონებდათ. კარგი იყო ტიბო (ი. ზარდალიშვილი), ხოლო შიგა და შიგ მეტად ბავშვური გამომეტყველებები ეჩხვინა; გიუსტენ გუტლიბი (პ. კორიშელი) მე-

ორე მოქმედებაში მოისუსტებდა, უკანასკნელში კარგი უშავდა რა; აგნესა (ნ. დავითაშვილი) კარგი იყო მხოლოდ მეტი სულიერი განცდას გამოჩენა ემართა; დ. გედევანოვი კარგად ასრულებდა მამა დე სილვიანს. დასასრულ „ვაი ყობოში“ ი. ზარდალიშვილმა (ყობო) ძლიერ გაამხიარულა დამსწრენი. დიდძალი საზოგადოება დაესწრო.

გ—ო.

## წერილი აგებები

◆ **ნუცა ჩხეიძე** სამშაბათს, 7 ივნისს, სახალხო სახლში ამ გაზაფხულის სეზონში კიდევ ერთხელ დაატკბობს მაყურებელთ „მარგარიტა გოტიეს“ დღითიური განსახიერებით. ქართველი დრამ. დასი ამ წარმოდგენით ათავეს წლევანდელს სეზონს; ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ეს წარმოდგენა იმართება ახალგაზდ მსახიობის ბ. გომელაურის სასარგებლოდ. იმედი უნდა ვიქონით, საზოგადოება თანაგრძობით მოეპყრობა. წარმოდგენაში, სხვათა შორის, მონაწილეობენ: ვ. გუნიანი, ალ. იმედაშვილი, ალ ყალაბეგიშვილი, ან. მურუსიძე, პლ კორიშელი და სხვ.

◆ **საზოგადოება „იმელი“-ს** სასარგებლოდ დღეს ხარფუხის საზ. კლუბის ბალში სეირნობაა.

◆ **ა. ი. სუმბათაშვილი** 2 ივნისს ქუთაისს გაემგზავრა, ხოლო იქიდან ბაქოს ჩავა საგასტროლოდ.

◆ **საზაფხულო სეზონისთვის** ქართველ მსახიობთა ამხანაგობა შესდგა კლუბებში წარმოდგენების სამართავად.

◆ **მსახიობი ნ. გვარამია** საზაფხულოდ სიღნაღსა მიწვეული. უკვე ორი წირმოდგენა გამართა.

◆ **რეჟისორი ა. ვუწუნავა** საზამთროდ მოსკოვს მიემგზავრება „მცირე თეატრში“ ალ. ივ. სუმბათაშვილთან სამუშაოდ.

◆ **ქართველ მსახიობთა** თაოსნობით ალ ივ. სუმბათაშვილის პატივსაცემად 1 ივნისს ორთაქალაში მეგობრული ვახშამი გაიმართა.

◆ **ახალგაზდა მხატვარი** რამან აბაზაძე სამხედრო სამსახურში გაიწვიეს.

◆ **მხატვრები მ, თოიძე, დ. შავარდნაძე, ლ გუღიაშვილი, ხ. მუსაევი და სხვ.** მოხალისენი დავით გარეჯას გაემგზავრენ ძველი ფრესკების გადმოხსაბატად.

◆ **ქართველ მოღვაწეთა** აგარაკის ასაშენებლად 1 ივნისამდე შემოვიდა 3,356 მ. 48 კ.—ეფულის განსაკუთრებით წვრიმალი შემოწირულებადღეში 30—40 მან. მოსდის ქართვ. კულტ. მოყვარ საზოგადოებას.

◆ **ქართველ მოღვაწეთა** აგარაკის თანხის სასარგებლოდ: ივ. ლობჯანიძისაგან—13 მ. 10 კ. ანდრო დოლიძისაგან—2 ა. 95 კ., გ. მაღრაძისაგან—1 მ. (მაისიდან თითო მანათი ალგვითქვა თვიურად).

◆ **აპარტინი** 5 ივნისს გასულ კვირის თბილისს ჩამოვიდა; მალე სვენეთს გაემგზავრება.

◆ **მეორე 8. ანალი** ტყვეობა





დან გაანთავისუფლეს და ასტრახანს გადაასახლეს. მწერალი მალე განაგრძობს შეწყვეტილ სამწერლო მუშაობას. ამ უამად იგი სწერს კრიტიკულ წერილებს. ერთი მისი წერილი მალე ჩვენს ჟურნალში დაიბეჭდება.

◆ **ა. ი. სუმბათაშვილი** მადლობას უთვლის ყველა იმას, ვინც პატივი სცა.

◆ **ზ. ჩოღრიშვილს**, ამას წინადაც არდაცვლილს, ბაქოს ციხეში ტყვეობის დროს უთარგმნია რომანი „ლიუდოვიკოს მეოთხემეტე“. როგორც შევითქვით, განსვენებულის პატივისმცემელთ განუზრახავთ ცალკე წიგნად გამოსცენ.

◆ **თბ. გუბ. სახ. მასწავლებელთა** დამფუძნებელი კრება შესდგება დღეს, 5 ივნისს, სახალხო სახლში 12 ს.

◆ „**არშინ მალ-ალანი**“, თათ. თბ., ჰაჯიბეგოვისა, თარგ ვ. გიგოშვილისა მეშვიდედ დღე წარმოდგენილ იქნება ხელოვანთა კლუბში.

**პ ა ს უ ხ ი.**

**სად. კარაკლისი.** პ. შ—ძეს. მიღებულია. „უცხო სიტყვათა ლექსიკონი“ იბეჭდება (200 სვეტამდე უკვე დაბეჭდილია) და გამოვა თუ არა — გაახლებთ.

**ქართული ტეკვის სკოლა**



**ა. გ. ალექსიძე**

როგორც ქალებს, აგრედვე ვაჟებს ვასწავლი ყოველგვარ კავკასიურ ტეკვას: ქართულს ლეკურს, დაღისტურს ნაურსულს, სომხურსა და თათურს თამაშსა. **ალექ. ალექსიძე** ადრესი: ჭავჭავაძის ქ. № 1, ევროპიულ ტეკვის სკოლა **ინნოჩენცისა** (3—3)



**ახალი კლუბი**

**პირველი კვირის პროგრამა** 5 — 12 ივნისს

**ორშაბათი** — რუსული ოპერეტა

**სამშაბათი** — სიმფ. კონც. გორინას მონაწ.

**ოთხშაბათი** — სცენები რუს. ოპერ,; კონც.

**ხუთშაბ.** — ქართ. წარმ. (უფას); ორკ., საზან,

**პარასკ.** სინემატოგრაფი, სიმფონ. კონცერტი

**შაბ.** სიმფ. კონც. მ. ა. ვოლფიზრაიელის მონ.

**კვირა** — ორკესტრი; სინემატოგრაფი.

**დასაწყისი:** კონცერტებისა საღამ. 9 საათ., წარმოდგენისა და სინემატოგრ. საღ. 8 1/2 ს. **შესასვლელი** ფასი ჩვეულებრივია, მხოლოდ სამშაბათს და შაბათს იხდიან: მანდილოსნები და სტუდენტები (ფორმაში) 65 კ. მამაკაცები 1—05 კ.

უკანასკნელი **სახალხო სცენი** წარმოდგენა

სამშაბათს, 7 ივნისს 1916 წ.

**ნინო ჩხეიძის** გასტროლი. ქართულ დრამატ დასისი მსახიობთა მონაწილეობით შ. გომელაური გამართავს წარმოდგენას. წარმოდგენილი იქნება დიუმას ცნობილი პიესა

**მარგარიტა გოტიე**

დრ. 5 მოქ. თარ. ვ. გუნიასი და ალ. იმედაშვილისა უმთავრეს როლებს შეასრულებენ **მარგარიტა გოტიე**—ნ. ჩხეიძე, არმან დიუვალი—ალ. იმედაშვილი, უორუ დიუვალ— გუნია ადგილების ფასი 2 მ- 40 კ 30 კ. დასაწყისი 8 1/2 ს. გამგე შ. გომელაური.

**ხარფუნას საზოგ. კლუბი.**

მიხეილოვის პროსპექტი, № 131. კვირას 5 ივნისს. ქართველ ნიჭიერ ახალგაზდობის დამხმარე საზოგადოების „**იმედის**“ სასარგებლოდ

**დიდი სახალხო სეირნობა**

გასართობები ბავშვებისათვის: სინემატოგრაფი, პტიშოვო, ტუმბო, ცეკვა-ლეკური, პატარა ცხენი (პონი), სეირნობა, რგოლების სროლა, ნიშანში სროლა, ფო.

სტა, ყვავილები, კონფეტი, მკითხავი და სხვ სეირნობის დროს დაუკრავს სამხედრო მუსიკა და საზანდარი. დასაწყისი **ნაშუადღ.** 4 საათზე. შესასვლელი ფასი დიდებისთვის 40 კ. პატარებისთვის და მოწაფებისთვის 30 კ.

ელაქტორ-გამომცემელი **ანნა იმედაშვილისა.**